საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის

ბრძანება №255
2016 წლის 19 მაისი

ქ. თბილისი

„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში ფულადი სარგოს (თანამდებობრივი და წოდებრივი სარგოების) და დანამატის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 25 აპრილის №211 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის №337 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში ფულადი სარგოს (თანამდებობრივი და წოდებრივი სარგოების) და დანამატის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 25 აპრილის №211 ბრძანებაში (www.matsne.gov.ge, 25/04/2016 წ., სარეგისტრაციო კოდი: 140130000.22.034.016531) შეტანილ იქნეს ცვლილება და პირველი მუხლით დამტკიცებული:

ა) №1 დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით;

ბ) №9 დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით;

გ) №10 დანართი ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2

1. ბრძანება, გარდა პირველი მუხლის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
2. ბრძანების პირველი მუხლის „ბ" და „გ" ქვეპუნქტები ამოქმედდეს 2016 წლის 1 ივნისიდან.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი — **გიორგი მღებრიშვილი**

დანართი №1

ადმინისტრაცია (დეპარტამენტი)

თანამდებობა	**თანამდებობრივი სარგოს განაკვეთი (ლარი)**
ადმინისტრაციის უფროსი (დეპარტამენტის დირექტორი)	2705
ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე (დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე)	2540
მთავარი სამმართველოს უფროსი	2355
სამმართველოს უფროსი	2115
სამმართველოს უფროსის მოადგილე, სამსახურის უფროსი, მინისტრის მრჩეველი	2000
განყოფილების უფროსი	1295

განყოფილების უფროსის მოადგილე, განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა ინსპექტორი	1210
უფროსი ინსპექტორი, მთავარი სპეციალისტი	1020
წამყვანი სპეციალისტი	950

დანართი №9

ლოჯისტიკის დეპარტამენტი

თანამდებობა	**თანამდებობრივი სარგოს განაკვეთი (ლარი)**
დეპარტამენტის დირექტორი	2705
დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე	2540
სამმართველოს უფროსი	2115
სამმართველოს უფროსის მოადგილე, სამსახურის უფროსი	2000
განყოფილების უფროსი	1295
განყოფილების უფროსის მოადგილე	1210
ქვეგანყოფილების უფროსი, განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა ინსპექტორი	1085
მთავარი სპეციალისტი	1020
ინსპექტორი, წამყვანი სპეციალისტი	950
სპეციალისტი	775